


საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი სამოქალაქო
საზოგადოების ჩამოყალიბებაში

თამარ მოცრაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, სოციოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

რელიგიას დასაბამიდან გააჩნდა საჭირო ბერკეტები გავლენა მოეხდინა საზოგადოების ცნობიერებასა და განწყობებზე. რელიგიურ ინსტიტუტებს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საზოგადოების ფორმირებაში. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს საზოგადოებაში. არსებული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენდა სწორედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ნაშრომი მიზნად ისახავდა, შეესწავლა საზოგადოების განვითარებაზე მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის პროცესი.

კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად, თვისებრივი მეთოდის საშუალებით. კერძოდ, გამოყენებულ იქნა, ლიტერატურის დისკურსული ანალიზისა და სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდები. კვლევის მეორე ეტაპზე გამოიკითხა სამი სამიზნე ჯგუფი: 1. სასულიერო პირები 2. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები 3. ექსპერტები.

კვლევის შედეგად, შესწავლილ იქნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დინამიკა. გამოვლინდა თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი ნიშა ქართულ რეალობაში. დისკურსული ანალიზის შედეგად, ნათლად გამოიკვეთა ზემოთ ხსენებული ორი ინსტიტუტის მჭიდრო კავშირი და ამ ურთიერთობის არაერთმნიშვნელოვანი შედეგები. სამაგისტრო ნაშრომში არსებული მონაცემები ცხადყოფს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემაფერხებელ როლს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.